კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წელი

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

0321.1.2

მოდიფიცირებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 03-2024

19 აპრილი, 2024 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით

N 03-2024

19 აპრილი, 2024 წელი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

Doctoral Educational Programme in mass communication

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

დოქტორანტურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი

აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

Social Sciences, Journalism and information

ვიწრო სფერო

ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

Journalism and information

დეტალური სფერო

ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა

Journalism and Reporting

სწავლის სფერო

მასობრივი კომუნიკაცია (შინაარსი)

Mass Communication (Wording and content)

სწავლის ხანგრძლივობა

სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა 6 სემესტრი (3 სასწავლო წელი)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 40 კრედიტს,

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა მოიცავს 19 კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი

Doctor of mass communication.

სწავლების ენა

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

პროგრამის ხელმძღვანელი

ხათუნა კაჭარავა, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს **დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.**

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგების საფუძველზე. გასაუბრების დროს კონკურსანტს მოეთხოვება:

ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს მასკომუნიკაციის სფეროს თანამედროვე, აქტუალურ საკითხებზე;
მიმღებ კომისიას წარუდგინოს სამოტივაციო წერილი საკვლევ თემასთან დაკავშირებით;
წარმოადგინოს საკვლევი თემის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მისი კვლევის ინტერესს (კონკურსანტის პროგრამაზე ჩარიცხვის შემდგომ შესაძლებელია წარმოდგენილი პროექტის თემატიკის სრულად ან ნაწილობრივ ცვლილება, დოქტორანტის ინტერესებიდან გამომდინარე);

წარმოადგინოს ორი სარეკომენდაციო წერილი, შესაბამისი დარგის აკადემიური წრეებიდან (კონკურსანტის, პროგრამის პროფილით სამუშაო გამოცდილების არსებობის შემთხვევაში, ერთი სარეკომენდაციო წერილი, შესაბამისი დარგის აკადემიური წრეებიდან, მეორე - დამსაქმებელი კომპანიიდან ან ორგანიზაციიდან).

თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს სამაგისტრო განათლება მასობრივი კომუნიკაციის სფეროში. ასევე, თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატსაც, რომელსაც არა აქვს შესაბამისი სამაგისტრო განათლება მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით, მაგრამ აქვს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ან/და შრომები მასობრივი კომუნიკაციის სფეროსა თუ მასში შემავალ ცალკეულ დარგებში.

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს მოეთხოვება **ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.** ამასთან, ინგლისური ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერთიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი ვალდებულია ტესტირება გაიაროს უნივერსიტეტის ენების ცენტრში.

B2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა:

ტოიფელი (TOEFL PBT)ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა;

ტოიფელი (TOEFL IBT)ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა; **ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS) ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა;** **ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები** **(Cambridge Exam) ცოდნის დონე: არანაკლებ FCE** პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც აბიტურიენტებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის, გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. **http://www.ciu.edu.ge.**
უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org)

პროგრამის მიზანი

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- კომუნიკაციის მაღალკვალიფიციური მკვლევრების მომზადება, რომლებიც მასობრივი კომუნიკაციის თეორიების, მოდელების, მასკომუნიკაციის ძირითადი ტენდენციების, კვლევის მეთოდების ცოდნის საფუძველზე, კომუნიკაციის პროცესის, კვლევის შედეგების ანალიზსა და ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნას შეძლებენ, რომელსაც სამეცნიეროს გარდა, პრაქტიკულ - გამოყენებითი მნიშვნელობაც ექნება;
- დოქტორანტებს მისცეს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების შესაძლებლობა, რომელიც მასობრივი კომუნიკაციის სფეროში დემოკრატიული საზოგადოების ლიბერალურ-ჰუმანისტური ფასეულობებისა და პრინციპების პოპულარიზაციას განაპირობებს;
- მაღალკვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარის ჩამოყალიბება, რომელსაც უნარი შესწევს ჩაატაროს მასობრივი კომუნიკაციის ცალკეულ დარგში მიმდინარე პროცესების მაღალი ხარისხის კვლევა და ანალიზი, გამოავლინოს ტენდენციები, მოახდინოს ახალი, ინოვაციური იდეების გენერირება-რეალიზება, კრიტიკულად გაანალიზოს დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება;
- დოქტორანტმა მოახდინოს დარგის აქტუალური საკითხების კვლევისა და მეცნიერული ანალიზის შედეგად დაგროვილი ახალი ინოვაციური ცოდნისა და ინფორმაციის სამეცნიერო და სხვა აუდიტორიისთვის გადაცემა და გაზიარება, გააკეთოს პრაქტიკული ღირებულების მქონე ორიგინალური დასკვნები და პასუხისმგებლობით მოეკიდოს მათ ტრანსფორმაციასა და გავრცელებას, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებისათვის;
- მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით დოქტორის მომზადება, რომელსაც უნარი შესწევს აქტიურად ჩაერთოს სწავლა-სწავლების პროცესში და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ახალი ცოდნა გადასცეს როგორც საუნივერსიტეტო აუდიტორიას, ისე სხვა დაინტერესებულ პირებს;
- მოამზადოს მასობრივი კომუნიკაციის დარგის კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო დიაპაზონის მკვლევრები, რომლებსაც შეუძლიათ ამ სფეროში არსებული გამოწვევების კვლევა მასობრივი კომუნიკაციისა და სოციალურ მეცნიერებათა არეალის მომიჯნავე დისციპლინებში არსებული ცოდნის სინთეზით.
- მოცემული სფეროს მეცნიერ-მკვლევარების მომზადებით, გარკვეული წვლილი შეიტანოს, მასობრივი კომუნიკაციის სფეროში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში დასაქმების ბაზარზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილების საქმეში.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს:

- მასობრივი კომუნიკაციის სფეროს უახლესი მიღწევების თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ფუნდამენტური ცოდნა, რაც არსებულის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა;
- მასობრივი კომუნიკაციის სამეცნიერო კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
- სამეცნიერო საქმიანობის მართვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

კურსდამთავრებული აცნობიერებს:

- კვლევის და მეცნიერული შეხედულებების კრიტიკული ანალიზის როლს და მნიშვნელობას მასკომუნიკაციის თანამედროვე პრინციპებისა და ფუნქციური მოდელების დახვეწის საქმეში.

უნარი

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო და ადგილობრივ რეფერირებად პუბლიკაციებში;
- მასობრივი კომუნიკაციის სფეროში მიღწევების გაანალიზება და კომპანიაში ანალიზის შედეგების დანერგვის შესახებ პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება, ახალი ეფექტიანი წინადადებების შეთავაზება და განხორციელება;
- დარგის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო დისკუსიებში ჩართვა და თეორიულ-გამოყენებითი ხასიათის კვლევების განხორციელება;
- დოქტორანტის მიერ განხორციელებული კვლევის შესაბამისად, კონკრეტულ დარგში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა, კრიტიკული ანალიზი, შეფასება და კვლევის შედეგების დასაბუთებულად და გასაგები ფორმით საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო და სხვა დაინტერესებული საზოგადოების წინაშე წარდგენა;
- თანამშრომლობა სხვა დარგების წარმომადგენლებთან კომპლექსური კვლევის დროს;
- მიღებული თეორიული ცოდნის შემოქმედებითად განვითარებით და პრაქტიკული გამოცდილების კრიტიკული ანალიზით შექმნას ახლებური მიდგომები მასობრივი კომუნიკაციის ორგანიზაციული კულტურის, მმართველობითი ურთიერთობის ეთიკისა და მართვის ხელოვნების სფეროში. დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერება და სამეცნიერო ეთიკის ნორმები.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მასობრივი კომუნიკაციის თეორიების, მოდელების, მასკომუნიკაციის ძირითადი ტენდენციების, კომუნიკაციის პროცესის კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, მოცემულ სფეროში ისეთი ტიპის ახალი ცოდნის შექმნა, რომელიც სამეცნიეროს გარდა, პრაქტიკული/გამოყენებითი მნიშვნელობის მატარებელიც იქნება;
- მასობრივი კომუნიკაციის ცალკეულ დარგში მიმდინარე პროცესების გარშემო მაღალი ხარისხის კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, მიღებული კვლევების შედეგების კრიტიკული - სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე მოცემულ სფეროში არსებული ტენდენციების იდენტიფიცირება, ასევე ახალი, ინოვაციური იდეების გენერირება-რეალიზება;
- მასობრივი კომუნიკაციის სფეროში სხვადასხვა სახის სასწავლო კურსების/პროგრამების შექმნა და აკადემიური, სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება.

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და მოცულობა

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს როგორც სასწავლო, ასევე კვლევით კომპონენტს.

სასწავლო კომპონენტის მოცულობა ჯამში 40 ECTS-ია, საიდანაც **სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები, 35 ECTS-ია ხოლო სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები - 5 ECTS**.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები (35 ECTS)

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს მასობრივი კომუნიკაციის დარგში დოქტორანტის ცოდნის გაღრმავებას, მისი კვლევითი უნარების განვითარებას, მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.
სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- სამეცნიერო კვლევის მეთოდები **(10 ECTS);**
- სწავლების თანამედროვე მეთოდები **(5 ECTS);**
- პროფესორის ასისტენტობა **(10 ECTS);**
- თემატური სემინარი **(10 ECTS).**

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები (5 ECTS)

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტების სწავლება მიზნად ისახავს, დოქტორანტს მისცეს შესაძლებლობა მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით მისთვის საინტერესო სფეროში გაიღრმავოს ცოდნა, რაც მას დაემხარება პროფესიულ ზრდასა და განვითარებაში, აგრეთვე, საკვლევ თემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში.
პროგრამაში არჩევითი ელემენტები წარმოდგენილია შემდეგი სასწავლო კურსების სახით:

- თანამედროვე კომუნიკაციის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი **(5 ECTS);**
- აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის **(5 ECTS);**
- სამეცნიერო კვლევების მართვა დოქტორანტებისათვის **(5 ECTS);**
- საინფორმაციო ომების თანამედროვე ტექნოლოგიების აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი **(5 ECTS**);
- ბლოკჩეინის თაობის სოციალური მედიის თანამედროვე აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი **(5 ECTS**);
- მედიაკულტურის სემიოლოგიის თანამედროვე აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი **(5 ECTS);**
- წერის თანამედროვე სტრატეგიების აქტუალური პრობლემები **(5 ECTS).**

კვლევითი კომპონენტი

კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-1;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-2;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-3;
- სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა.

უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტის არგუმენტირებული მოთხოვნის შემთხვევაში, ხელმძღვანელად მოიწვიოს სხვა უნივერსიტეტის პროფესორი.

უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელის არგუმენტირებული დასაბუთების არსებობის შემთხვევაში, თანახელმძღვანელად მოიწვიოს უცხოელი პროფესორი და პირიქით, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს აქვს კომპეტენცია კვლევითი კომპონენტის ნებისმიერი ელემენტის შესრულებისას უხელმძღვანელოს უცხოელ დოქტორანტს, რომელსაც სურვილი ექნება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში განახორციელოს სადოქტორო დისერტაციის კვლევის ნაწილი, ან კვლევა, სრულად.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

2. დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

3. ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. წიგნზე მუშაობის მეთოდი.

5. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

6. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

7. ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ

შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

8. შემთხვევის ანალიზი (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.

9. გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

10. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

11. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

12. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

13. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

14. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

სწავლა-სწავლებისას გამოყენებული მეთოდები მაქსიმალურადაა მიმართული დოქტორანტის კვლევის უნარის ჩამოყალიბებაზე. ამ უნარის განვითარების მიზნით დოქტორანტები სასწავლო კომპონენტის ფარგლებში ამზადებენ კვლევითი ხასიათის პრეზენტაციას (სასწავლო კურსების ფორ-მატში), რა დროსაც ისინი დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით ეჩვევიან ნაშრომის მიზნების და-სახვას, მათი მიღწევის გზების განსაზღვრას და ადეკვატური მეთოდების ძიებასა და გამოყენებას; შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვას, თანმიმდევრულ ეტაპებად რაციონალურ დაყოფას და დროის ორგანიზებას; ელექტრონულ ფორმატში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით და საბიბლიოთეკო ფონდის აქტიური გამოყენებით უახლესი ინფორმაციის, რელევანტური ლიტე-რატურისა და თანამედროვე მონაცემების მოპოვებას, მოძიებული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზსა და ინოვაციურ სინთეზს; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიებას, კვლევის უახლესი მეთოდების და ინოვაციების გათვალისწინებას; დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბება-დასაბუთებას; საკუთარი სამუშაოს კრიტიკულ ანალიზსა და ობიექტურ შეფასებას; არგუმენტირებული კრიტიკის გათვალისწინებას და საკუთარი კომპეტენციის თვითპრეზენტაციას. სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება სასწავლო ჯგუფის თავისებურებებიდან, ხოლო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულებისას - კვლევის სპეციფიკიდან და დოქტორანტის ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

სწავლებისას გამოყენებული მეთოდების სწორი შერჩევა და მათი კომბინირება მიმართულია სწავლე-ბის აქტივიზებაზე, დოქტორანტთა შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაზე, შემეცნებითი და კვლევითი საქმიანობის სტიმულირებაზე, სასწავლო პროცესში მათ აქტიურ მონაწილეობაზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სადოქტორო პროგრამის შედეგების - მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის კომპეტენციების მიღწევას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- **მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;**
- **შუა სემესტრულ შეფასებას;**
- **დასკვნითი გამოცდის შეფასებას.**

პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო დისციპლინების სწავლებისას, თითოეულ დისციპლინაში სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების **ევროპული სისტემის (ECTS)** დასაქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2007 წლის 5 იანვრის N 3ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების სისტემით.**

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

ცოდნის შეფასება პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

სასწავლო კომპონენტის შესწავლისას, სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საერთო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

შუალედური შეფასება შეიძლება მოიცავდეს ყოველკვირეულ, მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას, ან მხოლოდ შუალედური გამოცდის / გამოცდების შეფასებას.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. ყოველკვირეულ **მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია მაქსიმუმ 40 ქულის დაგროვება;**

თითოეულ სასწავლო კომპონენტში შუალედური გამოცდა სემესტრში შესაძლებელია ჩატარდეს რამოდენიმეჯერ (სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე) და თითოეული ფასდება 20 / 30 ქულით;

- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი;
- **შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა სულ შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა;**
- **შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 35 ქულის ტოლია;**

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა (მათ შორის შუალედური გამოცდის / გამოცდების) და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს.

- **დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა.**
- **დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულის ტოლია;**
- **დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს,** რომელსაც **შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;**

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების **ევროპული სისტემის (ECTS)** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით:**

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება	
91-100 ქულა	A	ფრიადი
81-90 ქულა	B	ძალიან კარგი
71-80 ქულა	C	კარგი
61-70 ქულა	D	დამაკმაყოფილებელი
51-60 ქულა	E	საკმარისი
41-50 ქულა	F	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა

		სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40 ქულა	Fx	**ჩაიჭრა** (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს აქვს ერთხელ გადაბარების უფლება, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

რაც შეეხება კვლევითი კომპონენტის შეფასებას, კვლევითი კომპონენტის არცერთი სავალდებულო ელემენტი არ ფასდება ქულებით და დოქტორანტს, შესაბამისად, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის დისერტაცია /სადოქტორო ნაშრომის ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით.

სადოქტორო ნაშრომის შეფასების სისტემა ასეთია:

ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

საშუალო (bene) – დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; **სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone)** – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დამაკმაყოფილებელი (rite) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, **არადამაკმაყოფილებელი (insufficient)** შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების თანახმად, 51-დან 100 ქულის ჩათვლით ნებისმიერი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ შესრულებული და იმავე ან მომდევნო სემესტრში დაცული დისერტაცია ჩაითვლება დასრულებულად და მიენიჭება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის კვალიფიკაცია / აკადემიური ხარისხი.

დასაქმების სფერო

მასობრივი კომუნიკაციის დოქტორები დასაქმებიან თბილისის და რეგიონულ უნივერსიტეტებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციებში. მასობრივი კომუნიკაციის დოქტორებს ასევე შეუძლიათ შიდა სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი თანამდებობრივი პოზიციის დაკავება.
სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები
სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის (40 კრედიტის) შესრულება. **გარდა ამისა:** • არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდებულ და უნივერსიტეტის მიერ ამ მიზნით აღიარებულ უცხოურ და ადგილობრივ რეფერირებად გამოცემებში, რომელშიც ასახული უნდა იყოს სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგები; • საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (პირადად მოხსენების გაკეთება). დოქტორანტი ვალდებულია მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული ერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მაინც. მისი მონაწილეობა უნდა დასტურდებოდეს სერტიფიკატითა და გამოქვეყნებული მასალებით.

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კომპეტენციების რუქა					
№	საგნის კოდი	საგანი	სწავლის შედეგები		
			ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები					
1.	**DMASCOM003**	სამეცნიერო კვლევის მეთოდები	X	X	X
2.	**DMASCOM005**	სწავლების თანამედროვე მეთოდები	X	X	X
3.	**DMASCOM006**	პროფესორის ასისტენტობა		X	X
4.	**DMASCOM007**	თემატური სემინარი	X	X	X
სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები					
5.	**DMASCOM001**	აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის	X	X	
6.	**DMASCOM002**	თანამედროვე კომუნიკაციის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი	X	X	X
7.	**DMASCOM004**	სამეცნიერო კვლევების მართვა დოქტორანტებისათვის	X	X	X
8.	**DMASCOM008**	საინფორმაციო ომების თანამედროვე ტექნოლოგიების აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი	X	X	X
9.	**DMASCOM009**	ბლოკჩეინის თაობის სოციალური მედიის თანამედროვე აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი	X	X	X
10.	**DMASCOM010**	მედიაკულტურის სემიოლოგიის თანამედროვე აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი	X	X	X
11.	**DMASCOM011**	წერის თანამედროვე სტრატეგიების აქტუალური პრობლემები	X	X	X
კვლევითი კომპონენტი					
12.	**DMASCOM012**	კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი		X	X
13.	**DMASCOM013**	კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-1		X	X
14.	**DMASCOM014**	კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-2		X	X
15.	**DMASCOM015**	კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-3		X	X
16.	**DMASCOM016**	დისერტაციის დასრულება და დაცვა	X	X	X

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY